



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030191273642020

№ 01-573/თ

01 / დეკემბერი / 2020 წ.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №01-508/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №01-508/თ ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამედიცინო დოკუმენტაციის მიწოდებას სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისთვის (კლინიკური ჯგუფის სამედიცინო) სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ასლი უნდა იყოს დანომრილი გვერდებით, ზონარგაყრილი, აკინძული და დამონწმეული ბეჭდით პირველ და ბოლო გვერდზე ისე, რომ არ იფარებოდეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების ამსახველი ჩანაწერები;

დ) თუ პაციენტის გარდაცვალების ფაქტის დამაფიქსირებელ დანესებულებაში პაციენტი გადაყვანილია (განხორციელებულია რეფერალი) სხვა სამედიცინო დანესებულებიდან, გადმოგზავნას ექვემდებარება ყველა დანესებულებაში მისი მკურნალობის/მეთვალყურეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად:

დ.ა) პაციენტის რეფერალის მიმღები დანესებულება ვალდებულია, სამინისტროდან სამედიცინო დოკუმენტაციის წერილობითი მოთხოვნის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს დანესებულებას საიდანაც განხორციელდა პაციენტის რეფერალი (ტელეფონით, ელფოსტით, ფოსტით და სხვა საშუალებით) და აღნიშნულის თაობაზე დააფიქსიროს ინფორმაცია პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში (შეტყობინების დრო, სახე და შეტყობინების მიმღები პირის ვინაობა);

დ.ბ) სამედიცინო დანესებულება საიდანაც განხორციელდა პაციენტის რეფერალი ვალდებულია, პაციენტის მიმღები დანესებულებიდან შეტყობინების მიღების შემდეგ, განახორციელოს მასთან არსებული პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის სამინისტროში გადმოგზავნის ღონისძიებები ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით.“.

## მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემენტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე